# “Mayber”-ის მეშვეობით რესტორნის შეკვეთის გადახდის წესები

“Mayber”-ის მეშვეობით შეკვეთის გადახდის მომსახურება ხორციელდება Visa, MasterCard საერთაშორისო საგადახდო სისტემების წესების შესაბამისად, გადახდის განხორციელების კონფიდენციალობის და უსაფრთხოების დაცვის პრინციპებზე, რისთვისაც გამოიყენება კავშირის დახურული არხებით მონაცემების შემოწმების, დაშიფვრისა და გადაცემის ყველაზე თანამედროვე მეთოდები.

“Mayber”-ის და/ან “Mayber” Web-აპლიკაციის მეშვეობით რესტორნის შეკვეთის გადახდა ხდება VISA, MasterCard საგადახდო სისტემების საბანკო ბარათის მეშვეობით.

“Mayber”-ის მეშვეობით რესტორნის შეკვეთის გადახდისთვის “Mayber”-ის მობილური აპლიკაციის და/ან “Mayber” Web-აპლიკაციის მეშვეობით აუცილებელია განახორციელოთ შემდეგი:

1) აირჩიეთ თიბისი გადახდის მეთოდი (ნახ.1).




(ნახ.1)

გადახდების დამუშავება ხდება თიბისი ბანკის ავტორიზაციის გვერდის მეშვეობით.

Mayber LLC
შპს მაიბერი
ID / ს.ნ.: 402204039

TBC Bank
თიბისი ბანკი
SWIFT / სვიფტი: TBCBGE 22
GE88TB7218336080100011

Georgia, Tbilisi, Didube district,
Tsereteli Avenue, N 56
საქართველო, თბილისი,
წერეთლის გამზირი No56

2) შეიყვანეთ საბანკო ბარათის მონაცემები:

- ბარათის ნომერი;
- ბარათის მფლობელის სახელი და გვარი:
- ბარათის მოქმედების ვადა;
- უსაფრთხოების სამნიშნა კოდი (CVV2 VISA-თვის ან CVC2 MasterCard და ა.შ. შემთხვევაში). ყველა აუცილებელი მონაცემი ამოტვიფრულია თავად ბარათზე. უსაფრთხოების სამნიშნა კოდი - ესაა სამი ციფრი, რომლებიც ბარათის უკანა მხარესაა მოცემული.




<u>შეყვანილი საბანკო ბარათის მონაცემები</u> გარანტირებულადაა დაცული PCI DSS უსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისად. ბარათის მონაცემების შეყვანა ხდება დაცულ საბანკო საგადახდო გვერდზე, ინფორმაციის გადაცემა ხდება SSL დაშიფვრის ტექნოლოგიის გამოყენებით.
ინფორმაციის შემდგომი გადაცემა ხდება სანდოობის/ საიმედოობის უმაღლესი ხარისხის მქონე დახურული საბანკო ქსელების მეშვეობით.
ბარათის მფლობელის დამატებითი ავთენტიფიკაციისთვის გამოიყენება 3D-Secure პროტოკოლი VISA-ისა და Mastercard-თვის. იმ შემთხვევაში, თუ ემიტენტი მხარს უჭერს მოცემულ ტექნოლოგიას, თქვენ გადამისამართება მოხდება მის სერვერზე 3D-Secure კოდის შესაყვანად, რომელიც საბანკო ბარათის მფლობელს მიუვა მოკლე ტექსტური შეტყობინებით.

<u>იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება 3D-Secure კოდის</u> მიღება, მაშინ აუცილებელი იქნება მიმართოთ ბანკს, რომელმაც გასცა საბანკო ბარათი.

<u>გადახდის განხორციელების დროს უარის შემთხვევები:</u>

- საბანკო ბარათი არ არის განკუთვნილი გადახდების განხორციელებისთვის ინტერნეტის მეშვეობით, რის შესახებაც შეგიძლიათ შეიტყოთ, მიმართავთ რა თქვენს ბანკს;

- საბანკო ბარათზე არ არის საკმარისი ფულადი საშუალებები. უფრო ვრცლად საბანკო ბარათზე ფულადი საშუალებების შესახებ შეგიძლიათ შეიტყოთ, მიმართავთ რა ბანკს, რომელმაც გასცა საბანკო ბარათი;
- საბანკო ბარათის მონაცემები არასწორადაა შეყვანილი;
- საბანკო ბარათის მოქმედების ვადა ამოიწურა. საბანკო ბარათის მოქმედების ვადა, როგორც წესი, მითითებულია ბარათის წინა მხარეს (ესაა თვე და წელი, როდემდეც მოქმედებს ბარათი). დეტალურად ბარათის მოქმედების ვადის შესახებ შეგიძლიათ გაიგოთ, მიმართავთ რა ბანკს, რომელმაც გასცა საბანკო ბარათი.

<u>რჩევები და რეკომენდაციები</u> საბანკო ბარათის გამოყენებით გადახდების განხორციელებისას უსაფრთხოების აუცილებელი ზომების მისაღებად:

- **შეინახეთ თქვენი პლასტიკური ბარათები** ისევე, როგორც ნაღდ ფულს უფრთხილდებით. არ დაგრჩეთ ბარათები მანქანაში, რესტორანში, მაღაზიაში და ა.შ.;
- არასოდეს **არ გაუგზავნოთ თქვენი საკრედიტო ბარათის სრული ნომერი** ტელეფონით უცხო პირებს ან რაიმე კომპანიას;
- ყოველთვის მზად გქონდეთ თქვენი ბარათის გამომშვებ ბანკთან დაუყოვნებლივ დასაკავშირებლად ტელეფონის ნომერი და ბარათის დაკარგვის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ დაუკავშირდით ბანკს;
- შეიყვანეთ ბარათის რეკვიზიტები მხოლოდ ყიდვის განხორციელებისას. არასოდეს არ მიუთითოთ ის რაიმე სხვა მიზეზით.